4673/3-87/22 2 27052022

4673/3-87/22
27-05-2022

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი, შეგახსენებთ, რომ ჩემს მიერ 2021 წლის 19 ოქტომბერს გამოგზავნილ სადეპუტატო შეკითხვაზე არ მიმიღია პასუხი, აქედან გამომდინარე განმეორებით გიგზავნით სადეპუტატო შეკითხვას და გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტია დაკმაყოფილებული მუდმივი წყლის მიწოდების სერვისით?

2. 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით რამდენი ახალი აბონენტისთვის იქნება მუდმივი, სასმელი წყალი მიწოდებული?

3. ასევე, გთხოვთ მომაწოდეთ იმ მუნიციპალიტეტების და სოფლების სია რომლებიც 2022 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შედეგად დარჩნენ სასმელი წლის მიწოდების სერვისის მიღმა.

ბატონო ირაკლი გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე